

თბილისის სამართაპორის თეატრალური ფესტივალი

ქართული სპექტაკლების
პროგრამა
Georgian Showcase
Program
2016

www.tbilisiinternational.com



Seeding new opportunities

We're committed to helping local community initiatives take root. That's why we support more than 300 charitable institutions and arts projects around the world.

Who'd have thought?

ახალი შესაძლებლობების დანერგვა

ჩვენ ხელს ვუწყოთ საზოგადოებრივი ინიციატივების დანერგვას. სწორედ ამიტომ, მხარს ვუჭერთ 300-ზე მეტ საქველმოქმედო ორგანიზაციასა და კულტურულ პროექტს მსოფლიოს მასშტაბით.

ვინ იფიქრებდა?



Made in Japan?

We're proud of our Japanese roots but our outlook is global. We are 26,000 employees representing more than 100 nationalities making us a truly international and culturally diverse company.

Who'd have thought?

დამზადებულია იაპონიაში?

ჩვენ ვამაყობთ იაპონური ფესვებით, თუმცა ჩვენი მსოფლმხედველობა გლობალურია. ჩვენ შორის 100-ზე მეტი ეროვნების 26000 თანამშრომელია, რაც ნამდვილად გვაქცევს საერთაშორისო და კულტურულად მრავალფეროვან კომპანიად.

ვინ იფიქრებდა?

WELCOME TO GEORGIAN SHOWCASE

TBILISI INTERNATIONAL FESTIVAL OF THEATRE introduced **GEORGIAN SHOWCASE** in 2009 as one of the basic programs of the Festival with an aim to promote Georgian Theatre and its integration within the world cultural network.

GEORGIAN SHOWCASE is a new platform for international exchange: to a number of Georgian Companies and artists it is the opportunity to build new relationships, create co-productions, tour and exchange artists; while for international guests it is a discovery of new possibilities for their programming and future plans.

The program includes theatre, new writing; movement and contemporary dance - new experiences and creative forms of making theatre. It is a big and very interesting program with more than **25 performances** from capital - Tbilisi and regions of Georgia.

With the program we acquired many new friends, we exchanged performances, we made co-productions, we toured performances outside - the reputation of Georgian ShowCase is growing - we are stable and very attractive partners.

PERFORMANCES

Each year we show newest productions of Georgian Theatre.

The **GEORGIAN SHOWCASE** consist of performances carefully selected for the program by group of Georgian critics. Together with the selected and recommended performances, we have special program as **SHOWCASE PREMIERS**.

The 4 days of intensive program will give you an insight into the vital, innovative, challenging theatre from Georgia. We would like to build new international profile and foster new collaborations.

DATES: October 4-8, Tbilisi, Georgia

MORNING MEETING

Morning meeting is open to everybody from Georgian Theatre, who wants to present their work to international guests.

It usually runs for two hours and gorgeous building of National Parliamentary Library of Georgia.

Theatre presenters, critics, organizers, international guests, festival friends - are all present at the meeting. The Morning Meeting offers an opportunity to see and talk to performance companies about their work and plan the day.

What we also have special is the group of our volunteers - they will be with you for the whole stay in Tbilisi, helping with everything, answering your questions and guiding you during these days.

FESTIVAL CLUB

There is no Festival without club - if start conversations in the morning, will continue with performances during the day and are tired after last performance in the evening, where should we go if not the club with great Georgian Wine, music, nice atmosphere and possibility to relax or discuss, go on with meetings or just have some time - out.

Welcome to Strada every evening!

TBILISI INTERNATIONAL FESTIVAL OF THEATRE

TBILISI INTERNATIONAL FESTIVAL OF THEATRE is one of the most important cultural events of autumn Tbilisi. Besides Tbilisi, the festival has become one of the main performing arts events in Caucasia and in the Black Sea countries.

TBILISI INTERNATIONAL FESTIVAL OF THEATRE was founded in 2009 with an aim to popularize Tbilisi, its culture and its unique creative atmosphere.

Every September throughout October the festival gathers artists from all around the world in Tbilisi, the city where their most courageous ideas are truly valued; where the experienced audience is waiting to greet them.

THE PROGRAM OF THE FESTIVAL

- INTERNATIONAL PROGRAM
- INTERNATIONAL PROGRAM "NEW"
- GEORGIAN SHOWCASE
- NEW MARKET of Caucasia and Black Sea Countries

Master classes, workshops and exhibitions Special events and programs for artists, public and guests.

The festival serves to the enhancement of the cultural landscape. Every festival has its own, unique style and many of them have attempted to become the platforms for discussion. The discussion about the differences of the forms and the stories; new attitudes and unique, brand new viewpoints; unrevealed worlds and their possibilities.

www.tbilisiinternational.ge

დავინახოთ ადამიანი კედლებს მიღმა

დავით ბუხრიკიძე

“ადამიანთა ურთიერთობების, პოლიტიკური სისტემის, საზოგადოების წესრიგისა თუ უწესრიგობის ამსახველი თეატრი განსაკუთრებით აქტუალურია დღეს - ჩვენთვის, ვინც სამყაროს დასასრულის შემდეგ დავიბადეთ; ვინც შეირაღებული კონფლიქტებისა და დანაშაულის პირისპირ ვცხოვრობთ.

დიახ, ჩვენ - უნიათოები და შეშინებულები, ვგრძნობთ, რომ ხაფანგში ვართ მოშვდევულები, რადგან დიადი კოშკების აგება აღარ შეგვიძლია. კედლები, რომლის აღმართვასაც ძალუმაღ ვცდილობთ, არაფრისგან აღარ გვიცავს. პირიქით, ისინი თავად მოითხოვენ ყურადღებასა და დაცვას, და ეს წარმოდგენელ სასიცოცხლო ენერჯიას გვართმევს. იმის ძალაც კი აღარ შეგვწევს, რომ კედლებს მიღმა გადავიხედოთ და ადამიანები დავინახოთ”...

ეს ცნობილი თანამედროვე პოლონელი რეჟისორის, კმიშტოვ ვარლიკოვსკის მიმართვის ფრაგმენტია, რომელიც მან თეატრის საერთაშორისო დღეს, 27 მარტს, მსოფლიოს მედიას გაუგზავნა. დიდი მასწავლებლების, პიტერ ბრუკისა და ჯორჯო სტრელერის მსგავსად, ისიც სრულყოფილ თუ მიუღწეველ თეატრს ეძებს, რომელიც სიმართლის წიაღში იღებს სათავეს და უსასარულობაში იკარგება.

ერთი შეხედვით, თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი, ვარლიკოვსკის შინაგანი დრამატიზმით აღსავსე გზავნილისგან შორსაა. მაგრამ თავის დროზე, ისიც “მიუღწეველი თეატრის” ძიებაში დაიბადა და უკვე მერვე წელია “უსასრულობაში” განაგრძობს ხეტიალს. ფესტივალი ყოველ წელს ახალ კითხვებს უსვამს საკუთარ თავსაც და მაყურებელსაც. ცდილობს თანამედროვე თეატრის სასიცოცხლოდ აუცილებელ და მრავალფეროვან ფორმებში გაერკვეს და ყოფიერების ასატან თუ აუტანელ სიმსუბუქეს ჟანრის შესაბამისი ნილაბი მოარგოს - ხან ტრაგიკული, ხანაც კომიკური.

მაგრამ როგორია ეს ნილები დღეს და როგორ უნდა მოვიტყვათ სული? როგორ მოვძებნოთ ბალანსი თეატრალური მიტებით დამძიმებულ დიდ წარსულსა და ათასგვარი პრობლემით გათანგულ დღევანდელ მაყურებელს შორის? რა ვუყოთ ლამის მტანჯველ, ხშირად უზომოდ გახარჯულ თუ გაცვეთილ გემოვნებას? რა ენაზე ველაპარაკოთ მაყურებელს რამპით გაჩირაღდნებულ ფიცარნაგასა თუ სადღაც ჩაკარგულ სარდაფში? როგორ მოვახერხოთ განცდის სიღრმე და რეფლექსია ისე, რომ არ დავკარგოთ იუმორი, თვითირონია და სხვა ისე, ხოლო ჯერ კიდევ მოუწინიებელი ცოდვები მორიგ “შეცდომათა კომედიად” გამოვაცხადოთ?

გაუცხოების კედლები, რომლის შესახებაც ვარლიკოვსკი წერს, მართლაც მაღალი და მიუვალაია, მაგრამ საბედნიეროდ, ყოველთვის მოიძებნებიან ისეთებიც, რომლებიც თავიანთი ხელოვნებითა და გაბედულებით მოახერხებენ მათ დანგრევას და კედლებს მიღმა ღვთისგან მივიწყებულ “პატარა ადამიანს” დაინახავენ.

მაგალითად, როგორც რუსთაველის თეატრის უაღრესად აქტუალურ და სოციალურ-პოლიტიკურ წარმოდგენაში “დაკანონებული უკანონობა”. ქართულ სცენაზე ბრეხტის “გაუცხოების ესთეტიკის” უმთავრესმა მოდერატორმა თუ მომშინაურებელმა, რობერტ სტურუამ თავის ბოლო და ალბათ, ერთ-ერთ საუკეთესო ნამუშევარში გვიჩვენა ძალაუფლების სისატიკის ფიზიკური და მეტაფიზიკური მხარე, რომელიც სწორედ “პატარა ადამიანს” ანადგურებს. ბრეხტის “უკანონობიდან” არც ისე შორია ნორჩი რეჟისორის, დავით ხორბლადის უჩვეულო, მგძნობიარე და ექსპერიმენტულ წარმოდგენაში გამხელილ “წუხილაშდე” (დამოუკიდებელი პროექტი, “ღია სივრცე ექსპერიმენტული ხელოვნებისთვის).

“პატარა ადამიანის” - მსახურ გონსკეს, მიუღწეველ თუ აუხდენელ ოცნებებს გაგვიმხელს რეჟისორი დავით დოიამვილიც სპექტაკლში “ცხოვრება იდიოტისა” (აკურტაგავას მოთხრობების მიხედვით, მუსიკისა და დრამის თეატრი). აღსანიშნავია, რომ 23 წლის წინ “ცხოვრება იდიოტისა” მან თუმანიშვილის თეატრში დადგა. ასე რომ, სტაჟიან თეატრალებს შეეძლებათ წლევიანდელ ფესტივალზე წარმოდგენილი და

ადრეული სპექტაკლი ერთმანეთს შეადარონ.

ადამიანის დევნის და ჩაგვრის თემას უსიტყვოდ, მძაფრდად და ირონიანაზავი პოეზიით ეხმარება რეჟისორი ლევან წულაძე მარჯანიშვილის თეატრში დადგმული სპექტაკლით BEGALUT - “უცხოობაში” (შალომ ალეიხმის მიხედვით, სცენური ვერსია გურამ ბათიაშვილი).

თეატრალებს ვერჩევდი არ გამოტოვონ გასული სეზონის მნიშვნელოვანი მოვლენა - “მეფე ლირი” ზურა ყიფშიძის მონაწილეობით (რეჟისორი ზურა გენაძე, თუმანიშვილის თეატრი). ასევე საინტერესოა, “მოხუცი ქალის ვიზიტი” შესანიშნავი მსახიობების - ქეთი ცხაკაიასა და გია როინიშვილის მონაწილეობით (რეჟისორი ალექსანდრე ელოშვილი, მარჯანიშვილის თეატრის ახალი სცენა).

“სტუმარ-მასპინძლის” ავთენტურ და გამორჩეულ სცენურ ვერსიას სთავაზობს მაყურებელს რეჟისორი ირაკლი გოგია ახმეტელის თეატრში; ხოლო გასულ წელს, 13 ივნისს მომხდარ წყალდიდობას პუბლიცისტური და ჰუმანიტური პათოსით ეხმიანება რეჟისორი და ავტორი გურამ მაცხოვანიშვილი თოჯინების თეატრში დადგმული სპექტაკლით “ცამეტი თიბათვისა”. ქანცგანწყვეტილ და უიმედო ადამიანებზე მოგვითხრობს ავთანდილ ვარსიმაშვილის სპექტაკლი “ხომ ხოცავენ ქანცგანწყვეტილ ცხენებს” (სიღრი პოლაკის ცნობილი ფილმის სცენარის თავისუფალი ვერსია “თავისუფალ თეატრში”); “შვლის ნუკრის ნამბობში” კი რეჟისორი ნიკა საბაშვილი ადამიანისა და ბუნების დაკარგული ჰარმონიის აღდგენას ცდილობს (შუგლიდის შალვა დადიანის სახელობის თეატრი)....

ასე რომ, ადამიანამდე მისვლა არც ისე ძნელია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. მთავარია, ჯერ გაუცხოებისა და შიმის გამო აღმართული კედლები დავანგრეთ...

GLIMPSE AT A MAN BEHIND THE WALL

David Bukhrikidze

“ Their common sense of the inevitable end of the world—not of the planet but of the model of human relations—and of social order and upheaval, is poignantly current for us here and now. For us who live after the end of the world. Who live in the face of crimes and conflicts that daily flare in new places faster even than the ubiquitous media can keep up. These fires quickly grow boring and vanish from the press reports, never to return.

And we feel helpless, horrified and hemmed in. We are no longer able to build towers, and the walls we stubbornly construct do not protect us from anything—on the contrary, they themselves demand protection and care that consumes a great part of our life energy. We no longer have the strength to try and glimpse what lies beyond the gate, behind the wall. And that’s exactly why theater should exist and where it should seek its strength. To peek inside where looking is forbidden”...

This is an extract from the message of Krzysztof Warlikowski, a prominent modern Polish theatre director, sent to the world media on a World Theatre Day, on the 27th of March. Alike the great teachers - Peter Brook and Giorgio Strehler - he’s searching out an ideal, yet elusive form of theatre, which has its source at the entrails of truth and which “ends in the inexplicable”.

At one glance, Tbilisi International Festival of Theatre is a bit far from the message full of inner drama of Krzysztof Warlikowski. But it was born out of the search for “an elusive theatre” too and it’s been eight years already since the festival keeps roaming in “the inexplicable”. Annually the festival questions itself as well as its audience. It’s trying to understand new diverse forms and genres which are vital to the modern theatre and it endeavours to disguise a bearable or an unbearable lightness of being according to the very genre - sometimes it’s tragic, sometimes - comic.

But, what do those masks look like? And how should we reprieve from it all? How can we

find the balance between the past burdened with theatrical myths and the modern audience wearied of too many problems. What do we have to do with the kind of taste that is agonising, wasted and threadbare? On what language should we communicate to the audience on the boards illuminated with footlights or in an off-track basement? In what way can we express the depth of feelings and the depth of reflection so that humour, self-irony and joy are maintained? How can we introduce the sins to them, yet not forgiven, as the base for a future “comedy of mistakes” ?

The walls of alienation, Warlikowski is writing about, are truly high and unscalable. Still, there are always the ones who, with their art and courage, pull down the walls and perceive “a small person” behind them, the one forgotten by God.

The example of this is a performance “Ordered Disorder” at Rustaveli Theatre, which is extremely current for us today, having a socio-political background. A great moderator who adjusts Brecht’s “alienation effect” to the Georgian scene, Robert Sturua, in one of his last and one of his best productions displays both the physical and metaphysical aspects of power, devastating “the small person”. The “Sorrow” revealed in an emotional and experimental performance staged by a young director Davit Khorbaladze is not that far from Brecht’s “disorder” too. (Independent project, “An open space for experimental art”)

Elusive and unrealizable dreams of “the small person”, of a manservant Gonske, will be divulged to us by the director David Doiashvili in his production “Fool’s Life” (Based on the short stories by Akutagawa, at Vaso Abashidze Music & Drama State Theatre). It’s notable that 23 years ago he staged “Fool’s Life” at Tumanishvili Theatre. So, the theatregoers will have a chance to compare the performance with its earlier version.

The production “BEGALUT - IN EXILE” staged by Levan Tsuladze treats the theme of persecution and oppression with poignantly ironic poetry. (Based on several fragments from Shalom Aleichem’s and Guram Batiashvili’s novels)

I recommend to the theatregoers not to miss

the significant event of the last season - “King Lear”, with Zurab Kipshidze’s performing the protagonist (Directed by Zurab Getsadze, at Tumanishvili Film Actors Theatre).

“The Visit of The Old Lady”, where the protagonists are played by Ketii Tskhakaia and Gia Roinishvili, is also noteworthy (Directed by Sandro Eloshvili, at Kote Marjanishvili State DramaTheatre, The Basement).

The director Irakli Gogia offers spectators an authentic and specific production of “Host and Guest” at Sandro Akhmeteli State Drama Theatre.

The last year’s flooding of the 13th of June is reflected in the production “13 of June”. Staged with publicistic pathos and steeped in humanism by a director and author, Guram Matskhonashvili at Tbilisi State Puppet Theatre.

The production by Avtandil Varsimashvili “They Shoot Horses, Don’t They” tells a story about exhausted and hopeless people. (Independent version of the script of a famous film by Sydney Pollack, at Liberty Theatre).

“The story of the roebuck” is an attempt by the director Nika Sabashvili to revive the harmony lost between man and nature (Zugdidi Shalva Dadiani State Professional Dramatic Theatre)...

The way to a man isn’t as long as it seems. What is principal is to pull down the walls built from alienation and fear...

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება მსოფლიოს ყველაზე მეგობრულ თეატრალურ ფესტივალზე!

წელს ქართულის სპექტაკლების პროგრამის მერვე სეზონი იწყება.

ქართული სპექტაკლების პროგრამა დაარსებიდან, (2009 წ.) ფესტივალის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ის ერთგვარად ავსებს საერთაშორისო პროგრამას, რომელიც წელს ნამუშევრებს რვა სხვადასხვა ქვეყნიდან წარმოადგენს.

წელს თქვენ არჩევანის გაკეთება 25 სხვადასხვა სპექტაკლს შორის შეგეძლება. ზოგიერთი ამ სპექტაკლებიდან თეატრის კრიტიკოსთა მიერ სპეციალურად შეირჩა, როგორც ქართული თეატრის ბოლო სეზონის საუკეთესო ნიმუშები. თუმცა, ქართულ პროგრამაში წარმოდგენილი ყველა თეატრალური დასი თბილად დაგხვდებათ და თქვენი აზრის მოსასმენად თავიანთი ნამუშევრების სანახავად მიგიწვევთ.

ფესტივალის განმავლობაში, ყოველ დღიით, ღია შეხვედრებზე შეძლებთ შეხვედრას ქართული სპექტაკლების პროგრამაში მონაწილე თეატრების წარმომადგენლებთან. თუმცა აქ არ იქნება საუბარი მხოლოდ სპექტაკლების “შესყიდვაზე”; ეს იქნება შესაძლებლობა იმისა, რომ შეხვდეთ კოლეგებს და გამართოთ დისკუსია საერთო ინტერესებზე. ამის შემდეგ კი, შესაძლებელი ყველაფერია.

თუკი ეს თქვენი პირველი სტუმრობაა თბილისში, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება - გარანტიას გაძლევთ, რომ ეს თქვენი უკანასკნელი ჩამოსვლა არ იქნება. ხოლო თუ აქამდეც ყოფილხართ ფესტივალზე, კეთილი იყოს თქვენი დაბრუნება. დაე, დაინყოს დღესასწაული.

გაუმარჯოს!

როჯერ მაკ კანი, თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის საბჭოს წევრი

Welcome to the Georgian Theatre Showcase in the 8th Tbilisi International Festival of Theatre, the world’s friendliest theatre festival.

The Showcase has been at the heart of the festival since its foundation in 2009, complementing the programme of international work which this year brings work from eight different countries. While the international companies offer a window on the world for theatregoers in Georgia, the Showcase provides a window to the world showing the remarkable variety of Georgian theatre.

This year you can choose from 25 different productions from all over the country. Some of those shows have been specially selected by a panel of theatre critics to represent the very best of Georgian theatre but all the companies in the Showcase will give you a warm welcome and invite you to see their work and look forward to hearing your comments.

Each morning during the festival you can meet representatives of the companies in the Showcase at the open marketplace but this is not just about ‘buying’ shows; it’s an opportunity to meet fellow professionals and discuss areas of common interest. After that, anything can happen.

If this is your first visit to Tbilisi, welcome - I can guarantee it won’t be your last. And if you’ve been to the festival before, welcome back. Let the festivities begin.

Gaumarjos!

*Roger McCann, Board Member
Tbilisi International Festival of Theatre*

ქართული სპექტაკლების პროგრამა 2016

თეატრი	ადგილი	დრო	სპექტაკლი	ხანგრძლივობა
4 ოქტომბერი, სამშაბათი				
კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი	კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, დიდი სცენა	18:00	მარჯვენა მარცხენა მაღალ ქუსლებზე	55 წუთი
ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრი	ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრი	19:00	აურზაური არაფრის გამო	140 წუთი, ერთი შესვენებით
კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი	კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, სარდაფი	20:00	კატარინა ბლუმის შელახული ღირსება	90 წუთი, შესვენების გარეშე

5 ოქტომბერი, ოთხშაბათი

ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრი	ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრი	12:00	აურზაური არაფრის გამო	140 წუთი, ერთი შესვენებით
ახმეტელის თეატრი	ახმეტელის თეატრი	16:00	სტუმარ-მასპინძელი	60 წუთი, შესვენების გარეშე
კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი	კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, სარდაფი	18:00	კატარინა ბლუმის შელახული ღირსება	90 წუთი, შესვენების გარეშე
გაბრიადის თეატრი	გაბრიადის თეატრი	20:00	მარშალ დე ფანტიეს ბრილიანტი	70 წუთი

6 ოქტომბერი, ხუთშაბათი

სამეფო უბნის თეატრი	სამეფო უბნის თეატრი	13:00	პრომეთე (დამოუკიდებლობის 25 წელი)	120 წუთი
თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების სახელმწიფო თეატრი	თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების სახელმწიფო თეატრი	16:00	13 თბათვისა	140 წუთი, შესვენების გარეშე
დამოუკიდებელი პროექტი	კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, ყუმიტაშვილის სარეპეტიციო დარბაზი	18:00	წუხილი	60 წუთი, შესვენების გარეშე
ფოთის ვალერიან გუნია სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრი	შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი, დიდი სცენა	19:00	ხალხის მტერი	75 წუთი, შესვენების გარეშე
კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი	კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, სარდაფი	20:00	მოხუცი ქალის ვიზიტი	120 წუთი, ერთი შესვენებით
თბილისის ვასო აბაშიძის მუსიკისა და დრამის თეატრი	თბილისის ვასო აბაშიძის მუსიკისა და დრამის თეატრი	21:00	ცხოვრება იდიოტისა და დრამის თეატრი	120 წუთი, ერთი შესვენებით

თეატრი	ადგილი	დრო	სპექტაკლი	ხანგრძლივობა
7 ოქტომბერი, კარასკევი				
დამოუკიდებელი პროექტი	სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნული მუზეუმი	13:00	შიშხილის ღმერთი	90 წუთი
თოჯინების თეატრი	თოჯინების თეატრი	16:00	გამოქვეყნებელი ნოველა	50 წუთი
ზუგდიდის შალვა დადიანის ასხელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი	კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, სხვენი	17:00	შვლის ნუკრის ნაამბობი	45 წუთი
კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი	კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, დიდი სცენა	18:00	BEGALUT	110 წუთი, ერთი შესვენებით
ივანე მაჩაბლის სახელობის ცხინვალის სახელმწიფო დრამატული თეატრი	საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი	18:00	კვაჭი	135 წუთი, ერთი შესვენებით
მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი	მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი	20:00	მეფე ლირი	180 წუთი, ერთი შესვენებით

8 ოქტომბერი, შაბათი

ილიაუნის თეატრი	ილიაუნის თეატრი	18:00	წმინდა ანტუანის სასწაული	80 წუთი, შესვენების გარეშე
თავისუფალი თეატრი	თავისუფალი თეატრი	19:00	ხომ ხოცავენ ქანც-განყვეტილ ცხენებს	180 წუთი, ერთი შესვენებით
სამეფო უბნის თეატრი	სამეფო უბნის თეატრი	20:00	პრომეთე (დამოუკიდებლობის 25 წელი)	120 წუთი
შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი	შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, დიდი სცენა	20:00	დაკანონებული უკანონობა	110 წუთი, ერთი შესვენებით
მოძრაობის თეატრი	მოძრაობის თეატრი	20:00	ქარიშხალი	60 წუთი, შესვენების გარეშე
კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი	კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, დიდი სცენა	21:00	BEGALUT	110 წუთი, ერთი შესვენებით

GEORGIAN SHOWCASE PROGRAM 2016

Theatre	Venue	Time	Performance	Duration
4 OCTOBER, TUESDAY				
Kote Marjanishvili State Drama Theatre	Kote Marjanishvili State Drama Theatre (Big Stage)	18:00	Right left with heels	55 Minutes
Nodar Dumbadze Professional Youth Theatre	Nodar Dumbadze Professional Youth Theatre, (Big Stage)	19:00	Much Ado About Nothing	140 Minutes, One Interruption
Kote Marjanishvili State Drama Theatre	Kote Marjanishvili State Drama Theatre (The Basement)	20:00	Lost Honour of Katharina Blum	90 Minutes, Without Interruption
5 OCTOBER, WEDNESDAY				
Nodar Dumbadze Professional Youth Theatre	Nodar Dumbadze Professional Youth Theatre, (Big Stage)	12:00	Much Ado About Nothing	140 Minutes, One Interruption
Sandro Akhmeteli Drama Theatre	Sandro Akhmeteli Drama Theatre	16:00	Host and Guest	60 Minutes, Without Interruption
Kote Marjanishvili State Drama Theatre	Kote Marjanishvili State Drama Theatre (The Basement)	18:00	Lost Honour of Katharina Blum	90 Minutes, Without Interruption
Rezo Gabriadze Theatre	Rezo Gabriadze Theatre	20:00	Diamond of Marshal de Fantie	70 Minutes
6 OCTOBER, THURSDAY				
Royal District Theatre	Royal District Theatre	13:00	Prometheus / 25 years of independence	120 Minutes
Tbilisi Giorgi Mikeladze State Professional Puppet Theatre	Tbilisi Giorgi Mikeladze State Professional Puppet Theatre	16:00	"13 of June"	140 Minutes, Without Interruption
Independent Project	Kote Marjanishvili State Drama Theatre (Rehearsing Room)	18:00	Sorrow	60 Minutes, Without Interruption
Poti Valerian Gunia Professional State Theatre	Shota Rustaveli State Drama Theatre (Big Stage)	19:00	Enemy of the People	75 minutes, without interruption
Kote Marjanishvili State Drama Theatre	Kote Marjanishvili State Drama Theatre (The basement)	20:00	The Visit Of The Old Lady	120 Minutes, With one interruption
Vaso Abashidze Music and Drama State Theatre	Vaso Abashidze Music and Drama State Theatre	21:00	Fool's Life	120 Minutes, With one interruption

Theatre	Venue	Time	Performance	Duration
7 OCTOBER, FRIDAY				
Independent project	Georgian National Museum	13:00	God of Hunger	90 Minutes
Tbilisi Giorgi Mikeladze State Professional Puppet Theatre	Tbilisi Giorgi Mikeladze State Professional Puppet Theatre	16:00	Unpublished novel	50 Minutes
Theater of zugdidi	Kote Marjanishvili State Drama Theatre (The Roof)	17:00	The story of the roebuck	45 Minutes
Kote Marjanishvili State Drama Theatre	Kote Marjanishvili State Drama Theatre (Big stage)	18:00	BEGALUT - IN EXILE	110 Minutes, With one interruption
Tskhinvali Professional State Drama Theatre After Ivane Machabeli	National Music Center	18:00	Kvachi	135 minutes, with one interruption
Tumanishvili Film Actors' Studio Theatre	Tumanishvili Film Actors' Studio Theatre	20:00	King Lear	180 Minutes, With one Interruption
8 OCTOBER, SATURDAY				
Ilia State University Theatre	Ilia State University Theatre	18:00	The Miracle of Saint Antoine	80 minutes, without interruption
Liberty Theatre	Liberty Theatre	19:00	They Shoot Horses, Don't They	180 Minutes, with one interruption
Royal District Theatre	Royal District Theatre	20:00	Prometheus / 25 years of independence	120 Minutes
Shota Rustaveli State Drama Theatre	Shota Rustaveli State Drama Theatre (Big Stage)	20:00	The Exception and the Rule (Ordered Disorder)	110 minutes, with one interruption
Kakha Bakuradze's Movement Theatre	Kakha Bakuradze's Movement Theatre	20:00	The Tempest	60 Minutes, without interruption
Kote Marjanishvili State Drama Theatre	Kote Marjanishvili State Drama Theatre (Big stage)	21:00	Begalut - In Exile	110 Minutes, With one interruption



სარჩევი | CONTENT

17	შოთა რუსთაველის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი Shota Rustaveli State Drama Theatre
20	დაკანონებული უკანონობა The Exception and the rule
24	კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული პროფესიული თეატრი Kote Marjanishvili State Drama Theatre
26	უცხოებაში IN EXILE
30	მხოვნი ქალის ვიზიტი The Visit of the old Lady
34	ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი Tbilisi Vaso Abashidze State Theater of Musical Comedy and Drama
36	ცხოვრება იდიოტისა Fool's Life
40	მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი Mikheil Tumanishvili Film Actors Theatre
42	მეფე ლირი King Lear
46	გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი Tbilis state puppet theatre
47	13...თიბათვისა 13th of June
50	თბილისის სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი Sandro Akhmeteli State Drama Theatre
52	სტუმარ - მასპინძელი Host and Guest
54	ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი Chiatura Drama Theatre
55	მეთევზე ერთი, ორი... Fisherman one, two...
58	ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრი Poti Valerian Gunia Professional State Theatre
58	ხალხის მტერი Enemy of the People
60	ზუგდიდის შალვა დადიანის სახ. სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი Zugdidi Shalva Dadiani State Professional Dramatic Theatre
61	შვლის ნუკრის ნაამბობი The story of the roebuck
64	თავისუფალი თეატრი Liberty Theatre
66	ხომ ხოცავენ ქანცაწყვეტილ ცხენებს They Shoot Horses, Don't They?
71	ნუხილი Sorrow
	პრემიერები PREMIERS
75	კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული პროფესიული თეატრი Kote Marjanishvili State Drama Theatre
76	კატარინა ბლუმის შელახული ღირსება Lost Honour of Katharina Blum
78	მარჯვენა მარცხენა მაღალ ქუსლებზე Right left with heels
80	ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაცურებელთა პროფესიული თეატრი Nodar Dumbadze Professional State Youth Theatre
81	აუზნაური არაფრის გამო Much Ado About Nothing
82	თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი Tbilis state puppet theatre
83	გამოუქვეყნებელი ნოველა Unpublished novel
86	ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი Kutaisi Lado Meskhisvili Professional State Drama Theatre
87	რევიზორი The Government Inspector
90	ცხინვალის ივანე მანაბლის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი Tskhinvali Professional State Drama Theatre After Ivane Machabeli
91	კვაჭი Kvachi
94	სამეფო უბნის თეატრი Royal District Theatre
95	პრომეთე, დამოუკიდებლობის 25 წელი Prometheus, 25 years of independence
98	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრი Iliia State University Theatre
98	წმინდა ანტონის სასწაული The Miracle of Saint Antoine
100	კახა ბაკურაძის მოძრაობის თეატრი Movement theatre
101	ქარიშხალი The Tempest
102	მიხეილ ჩარკვიანისა და დავით ხორბალაძის სპექტაკლი Performance by Mikheil Charkviani and Davit Khorbaladze
103	შიშმისის ღმერთი God of Hunger
	სპეციალური სტუმარი SPECIAL GUEST
105	გაბრიადის თეატრი Gabriadze Theatre
106	მარშალ დე ფანტიეს ბრილიანტი Diamond of Marshal de Fantie

ქართული სკენოკლუბის პროგრამა 2016

GEORGIAN SHOWCASE 2016

შოთა რუსთაველის სახელობის პროფესიული
სახელმწიფო დრამატული თეატრი
SHOTA RUSTAVELI STATE DRAMA THEATRE

თეატრის შესახებ:

ქართული დრამის თეატრს შოთა რუსთაველის სახელი 1921 წლის 25 ნოემბერს ეწოდა, მაგრამ რუსთაველის თეატრის ისტორია ბევრად ადრე დაიწყო: 1879 წელს „დრამატული კომიტეტის“ წევრებმა ილია ჭავჭავაძის თაოსნობით მიიღეს წესდება, შეარჩიეს შენობა სასახლის მოედანზე და 1879 წლის 5 სექტემბერს, მათი დიდი ძალისხმევით, პირველი სეზონი გაიხსნა ბარბარე ჯორჯაძის კომედიით „რას ვეძებდი და რა ვპოვე?!“ (რეჟისორი - გიორგი თუმანიშვილი). აღდგენილი ქართული თეატრისთვის ივანე მახაბულა შექსპირის პიესები თარგმნა, ხოლო დავით ერისთავმა ქართულად გადმოაკეთა სარდუს „ფლანდრია“ - „სამშობლო“ (1882 წ.). თეატრის ეროვნული სწრაფვა სწორედ ამ სპექტაკლში გამოიკვეთა. ლევან ხიმშიაშვილის როლის შემსრულებელი, ლადო მესხიშვილი ეროვნულ გმირად შერაცხეს...

1898 წელს გოლოვინის პროსპექტზე (რუსთაველის გამზირი) საძირკველი ჩაეყარა „არტისტული საზოგადოების სახლს“ (შემდგომ რუსთაველის თეატრს). 1901 წლის 7 თებერვალს გაზეთი „ივერია“ იუწყებოდა: „6 თებერვალს, აკურთხეს გოლოვინის პროსპექტზედ ახლად აგებული შენობა ტფილისის „საარტისტო საზოგადოებისა“. ამავე წლის 5 მარტს წარმოადგინეს აქსენტი ცაგარელის „ხანუმა“.

თუ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ქართულ სცენაზე მსახიობთა თანავარსკვლავედი იდგა (ვასო აბაშიძე, მაკო საფაროვა-აბაშიძისა, ნატო გაბუნია, ლადო მესხიშვილი, ვალერიან გუნია, ალექსანდრე იმედაშვილი, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, კოტე და ეფემია მესხები), მეოცე საუკუნე რეჟისორ-ლიდერთა საუკუნე გახდა. კოტე მარჯანიშვილმა საფუძველი ჩაუყარა „სინთეზურ თეატრს“, მისმა სპექტაკლებმა, ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“ (1922 წ.), ზურაბ ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“ (1923 წ.), შექსპირის „ჰამლეტი“ (1925 წ.) კონსტანტინე მარჯანიშვილის „მზეთამზე“ (1926 წ.) წარუშლელი კვალი დატოვეს ქართული

About Theater

The Rustaveli State Drama Theatre name is revered in Georgia and abroad. Long associated with high artistry and serious theatre, its talented actors and pioneering producers together continue to collaborate on inquisitive, inspiring, and modern productions. Outside of Georgia, it is often called "The Theatre of Stars" in honour of its actors' gifts. Distinguished by its youthful vigour and constant quest for new theatrical directions and forms, for more than a century the Rustaveli has been the epicentre for Georgian national expression. Then and now, the theatre's ethos has always been to stage work that is socially engaged and profoundly creative.

Over the years, the nation's best writers and artists have staged countless productions on the Rustaveli stage. Each of the theatre's many producers has left their own stamp on the theatre, but all selected plays for clarity of meaning and social relevance without artistic compromise.

The Rustaveli Theatre was founded in 1879 by a special dramatic committee made up of famous Georgian actors and writers along with cultural and political figures. Since that time the theatre has had a romantic but sometimes trying history. Shortly after the theatre's foundation in 1882, David Eristavi's play The Homeland was performed in a production that soon became a national event. Witnessing a play where the set decoration included national flags, and where Georgians celebrated the glory of their independent past while speaking their native language, spectators began to make spontaneous peaceful demonstrations mid-performance. It also became a great cause for concern in the eyes of the Russian imperial government, and so almost immediately after its inception the Rustaveli was at the centre of current affairs. One of the key figures of the theatre's past is the political playwright Kote Marjanishvili, whose plays championed social reform. Akhmeteli, another luminary in the history of the theatre and a celebrated pioneer of conceptual directing, directed his script Fuen-

თეატრის ისტორიაში.

1930 და 1933 წლის მოსკოვის გასტროლებსა და საკავშირო ოლიმპიადებში მონაწილეობამ („რღვევა“ (1928 წ.), „ანბორ“ (1928 წ.), „ლამარა“ (1930 წ.), „თეთნულდ“ (1931 წ.), „ყაჩაღები“ (1933 წ.) ალექსანდრე ახმეტელს და თეატრს საერთაშორისო აღიარება მოუტანა. „რუსთაველის თეატრი ნამდვილი ეროვნული თეატრია. რუსთაველის თეატრი ეროვნულია თავისი ფორმით, საერთაშორისო თეატრია თავისი მხატვრული მნიშვნელობით“ – კორი ფელდმანი.

XX საუკუნის 30-იანი წლების საბჭოთა რეპრესიებს შეეწირა ალექსანდრე ახმეტელი თანამოაზრე გუნდთან ერთად. მსახიობთა ნაწილი დახვრიტეს, ნაწილი კი გადაასახლეს.

ქვეყნისა და თეატრისათვის ურთულეს პერიოდში შალვა აღსაბაძემ რუსთაველის თეატრში დადგა შექსპირის „ოთელი“ (1937 წ.). „ხორავას ოთელი მხოლოდ კარგად შესრულებული როლი კი არ არის, არამედ თეატრალური მოვლენაა...“ – წერდა ვლადიმერ ნემიროვიჩ-დანჩენკო.

XX საუკუნის 50-იანი წლებში დიმიტრი ალექსიძე რუსთაველის თეატრში ტრადიციადქცეული გმირულ-რომანტიკული მიმდინარების ერთგული დარჩა. ამ სტილის ნამუშევართა შორის გამორჩეული ადგილი სოფოკლეს „ოიდიპოს მეფემ“ დავით გაჩეჩილაძის „ბახტრიონმა“ დაიკავა. ამავე პერიოდში რუსთაველის თეატრში მოღვაწეობდა განსხვავებული ხელწერისა და ინდივიდუალობის მქონე რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი. მან შემოიკრიბა ახალგაზრდა მსახიობთა ჯგუფი, რომელიც ქართულმა თეატრალურმა საზოგადოებამ „შვიდკაცას“ სახელით გაიცნო. სწორედ თუმანიშვილის სახელს უკავშირდება მცირე სცენის გახსნა სპექტაკლით „ჭინჭრაქა“ (1963 წ.). მიხეილ თუმანიშვილის სპექტაკლებმა ახალი ფურცელი ჩაწერეს რუსთაველის თეატრის ისტორიაში.

სამოციანელთა თაობამ (რობერტ სტურუა, თემურ ჩხეიძე, გოგი ქავთარაძე, გიზო ჟორდანიძე...) თეატრში ახალი ესთეტიკა დაამკვიდრა. რობერტ სტურუას პირველი წარმატებული სპექტაკლი ა.მილერის „სეილემის პროცესი“ (1965 წ.). მე-20 საუკუნის 70-იანი წლებში გაჩნდა ცნება „რობერტ სტურუას პოლიტიკური თეატრი“:

te Ovejuna (1922), Antonov's Sun Eclipse in Georgia (1923), and Hamlet (1925) with a light but incisive style that was firmly grounded in the Georgian national character. Akhmeteli's dazzling productions were distinguished by a sense of civic consciousness, restraint, and by his own exacting nature. His most renowned shows are Lavrev's Disorganization (1928), Shanshiashvili's Anzori (1928), Robakidze's Lamara (1930), and Dadiani's Tetnaldi (1931). The Soviets later executed Akhmeteli as a nationalist and enemy of the people in 1936. At that time they also executed, punished, or exiled a number of actors and other theatre employees.

Soviet ideology repressed the development of conceptual directing on the grounds that it focused on Georgia as a nation with its own spiritual culture distinct from the USSR and that it was too individualistic. The Soviets perceived both of these accusations as threats to the main tenets of Marxist class theory, and so during the Stalin era the Rustaveli was all too often little more than a museum exhibition where productions expressed the people's fight for progress and justice in the social realist tradition. Isolated from Europe's rapidly developing theatrical practice, it was impossible for the theatre to continue the achievements of the 1920s and early 1930s.

But although the Soviet state machine mercilessly suppressed freedom of artistic expression, the theatre has survived to this day in spite of its setbacks and even managed to put on several worthwhile productions in that difficult time.

In the wake of the political softening that followed Stalin's death in 1953, life in the theatre began to change. The harbinger of this new chapter in the theatre's history was the director Tumashvili. His productions of Spanish Priest (1954), Chinchraka (1963), When There is Such Love (1959), and Antigone (1968) brought a refreshing professionalism, sophisticated theatricality, and clarity to the theatre. The foundations had been established for a different working culture and a much more modern approach

A new generation of theatre directors found their home in the Rustaveli during the 1960s. The most notable representative of this new wave was Robert Sturua, whose highly criti-

(„ყვარყვარე“, (1974 წ.), „კავკასიური ცარცის წრე“ (1975 წ.), „რიჩარდ III“ (1979 წ.). რეჟისორმა ასამდე სპექტაკლი დადგა რუსთაველის თეატრის სცენაზე. რობერტ სტურუას სპექტაკლებმა – „კავკასიური ცარცის წრე“ და „რიჩარდი III“ თეატრს მსოფლიო აღიარება მოუტანა. რუსთაველის თეატრს ტრიუმფალური გასტროლები ჰქონდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის – ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიასა და შვეიცარიაში, მექსიკაში, ავსტრალიაში, ფინეთსა და ისლანდიაში. იგი ედინბურგის, ავინიონის, ათენის, ადელაიდის, რეიკიავიკის, იერუსალიმის ფესტივალების მონაწილეა.

რობერტ სტურუა და მის მიერ დადგმული სპექტაკლები მრავალი ეროვნული თუ საერთაშორისო პრემიით და პრიზით დაჯილდოვდა.

გიზო ჟორდანიას სამსახიობო კლასის კურსდამთავრებულებმა ახალი სიცოცხლე შთაბერეს მცირე სცენას სპექტაკლებით: „ანა ფრანკის დღიური“ (1987 წ.), „სამანიშვილის დედინაცვალი“ (1987 წ.), „ამალამ მგონი იქნება ქარი“ (1987 წ.), „ჰამლეტი“ (1991 წ.).

გასულ საუკუნის 80-90-იანი წლებში რეჟისორთა ახალმა თაობამ: ავთო ვარსიმაშვილმა, ლევან წულაძემ, ოთარ ეგაძემ, ანდრო ენუქიძემ, გოჩა კაპანაძემ, დათო საყვარელიძემ თავისი წვლილი შეიტანეს რუსთაველის თეატრის შემოქმედებით ცხოვრებაში.

დღეს თეატრში ახალგაზრდა რეჟისორები და მსახიობები, უფროს თაობასთან ერთად, შემოქმედებით ძიებებს განაგრძობენ.

cal political productions and lyrical but psychologically exacting voice made the theatre world famous. Sturua's sharply satirical and grotesque production of Kvarqvare (a play by Georgian author P. Kakabadze that drew on Brecht's Arturo Ui) had a profound influence on audiences unaccustomed to such biting mockery of the state.

Sturua's now legendary productions of The Caucasian Chalk Circle (1975), Richard III (1979), and King Lear (1987) have been shown in festivals around the world. To date, the plays have been performed in Argentina, Australia, Bulgaria, Hungary, Israel, Italy, Mexico, Poland, Russia, Spain, Switzerland, the UK, and Yugoslavia.

The Rustaveli continued to perform work during the 1990s, a deeply challenging time for post Soviet countries. Performances were created which tried to express the problems of modern times and searched for new methods of artistic expression. Sturua and his actors began to turn to more experimental performances, one of which was a show based on the Georgian alphabet called ABC.

Throughout its history, the people who make up the theatre have been bound together by creative and civic conviction, tireless energy, and a great common curiosity in life.



დაკანონებული უკანონობა THE EXCEPTION AND THE RULE

რეჟისორები: რობერტ სტურუა, ნიკოლოზ ჰაინე-შველიძე
ქორეოგრაფი: კოტე ფურცელაძე
კომპოზიტორი: გია ყანჩელი
რეჟისორის თანაშემწე: მარინა ამაღლობელი

მონაწილეობენ:
ზვიად პაპუაშვილი, დავით გოცირიძე, ბექა სონღულაშვილი, დავით დარჩია, ნიკა ქაცარიძე, ეკა მინდიაშვილი, ქეთი სვანიძე, გეგა ჩხაიძე, ლაშა ჯუხარაშვილი, ზაზა ბარათაშვილი, ედმონდ მინაშვილი, ანდრია თავბერიძე.

პრემიერის თარიღი: 4.06.2016
ხანგრძლივობა: 110 წუთი, ერთი შესვენებით
საგასტროლო ჯგუფი: 33 ადამიანი

ბერტოლდ ბრეხტი BERTOLD BRECHT

Directed By Robert Sturua and Nikoloz Heine-Shvelidze
Composer: Giya Kancheli
Choreographer: Kote Purtseladze
Assistant To Director: Marina Amaghlobeli

Cast:
Zviad Papuashvili, Davit Gotsiridze, Beka Songhulashvili, Davit Darchia, Nika Katsaridze, Eka Mindiashvili, Ketii Svanidze, Gega Chkhaidze, Lasha Jukharashvili, Zaza Baratashvili, Edmond Minashvili, Andria Tavberidze

Premiered On June 4, 5, 2016
Duration: 110Min With One Intermission
On Tour: 33 Person

სპექტაკლის შესახებ:

პიესა, რომელიც ბერტოლდ ბრეხტმა 1930 წელს დაწერა, შესანიშნავად ასახავს თანამედროვე მსოფლიოს პრობლემებს.

რუსთაველის თეატრი ბრეხტის ნაწარმოების საკუთარ ვერსიას წარმოგიდგენთ.

უდაბნოში ნავთობის დიდი საბადო აღმოაჩინეს. საბადოს ხელში ჩასაგდებად რამდენიმე ექსპედიცია მიემართება. მარათონში მონაწილეობს ნავთობის უდიდესი კომპანიის მფლობელი კარლ ლანგმანი. იგი გამყოლოთან და მუშასთან ერთად შეუდგება ამ რთულ გზას. უდაბნოში თანდათან იძაბება ურთიერთობა პატრონსა და დაქირავებულებს შორის. ეჭვითა და შიშით შეპყრობილი ლანგმანი ჯერ გამყოლს დაითხოვს, რათა თავი აარიდოს „მოსალოდნელ შეთქმულებას“. შემდეგ კი, როცა მკაცრი უდაბნოს პირობები ორნი დარჩებიან, გზარეული, უწყლობითა და მწველი მზით გათანგული ლანგმანი მუშას მოკლავს.

იმართება სასამართლო. დაქვრივებული ქალი ქმრის მკვლელის დასჯას მოითხოვს, მაგრამ რას გადაწყვეტს მოსამართლე? უკანონობას ხომ კანონი იცავს.

რეკომენდაცია:

რობერტ სტურუა ისევე თავისუფლად ეპყრობა ბრეხტის პიესებს, როგორც ამას სხვა ავტორთა მიმართ აკეთებს. რეჟისორი დადგმას ტექსტის მონტაჟიდან იწყებს ხოლმე და სპექტაკლის ახალ, საკუთარი კონცეფციის, სათქმელის გამომხატველ ტექსტს ქმნის. ამ შემთხვევაში დამდგმელებმა სათაურიც შეცვალეს. ორიგინალში პიესას „გამონაკლისი და წესი“ ჰქვია. რეჟისორებმა სახელწოდება პიესაში არსებული ზონგებიდან აიღეს. პიესიდან ზოგი ტექსტი საერთოდ გაქრა, ზოგიც ჩამატებულია, გაკეთდა კუბიურები, გადაადგილდა ეპიზოდები, განჩნდნენ გადაკეთებული პერსონაჟებიც. მაგალითად ქარავან-სარაის მეპატრონე შეიხად, ხოლო მოსამართლე - ბუდისტ ბერად იქცა. ფაქტობრივად, შეიძლება ითქვას, რომ დამდგმელებმა პიესის ფაბულა გამოიყენეს, ბრეხტის ნაწარმოების საკუთარი სცენური ვერსია შექმნეს და სპექტაკლის ჟანრი მხიარულ არაკად განსაზღვრეს. არადა

About the performance:

The Exception and the Rule is a short play written by Bertolt Brecht in 1930 that remarkably describes the problems and harsh realities of life. The Shota Rustaveli State Drama Theatre presents its original version of Brecht's The Exception and the Rule.

When an oil deposit is discovered in the middle of the desert, a number of expeditions set out to find the deposit and gain control of it. Karl Langmann, the owner of a large oil company, also has acquiring control over the bountiful oil deposit set as his goal. Langmann sets out on his journey together with his porter, or “coolie”. As Karl Langmann and the coolie progress along their course, their relationship tenses. The two become suspicious of one another. Terrified that his coolie is planning an attack on him, he fires him from his job. Later on, the two find themselves stranded in the desert without food, water or shelter under the blistering sun. Langmann, half-mad due to the extreme conditions of his surroundings, becomes paranoid, entertaining fantasies that the coolie is devising plans to murder him. He shoots the coolie. Subsequently, the newly-widowed wife of the coolie seeks justice for her dead husband, demanding that Karl Langmann be punished for his murder. Nonetheless, in a society where the justice system defends acts of injustice, Karl Langmann is acquitted. The Exception and the Rule raises awareness of the bias the level of one's social class creates in society.

Recommendation:

Robert Sturua treats the plays of Bertolt Brecht as handily as the plays of other authors. The director starts staging a production by editing the text and thus creates a new, expressive text for his concept and idea. The title was changed thus. The original title of the play is “The Exception and the Rule”. The title of this production was chosen from the songs in the play. Some of the text of the original play is omitted in the performance, while some verses are added to it, notes have been made, episodes have changed places, some of the characters are altered on stage. For example, the owner of a caravanserai is changed into a sheikh, while the character of a judge is altered into a buddhist monk. Overall, it can be said that the directors used the story by Brecht as a base for

ეს მხიარული არაკი ორ მოქმედებად დღეს მსოფლიოში არსებულ სერიოზულ, მტკივნეულ პრობლემებზე მოგვითხრობს. ბიზნესმენ (პიესაში - ვაჭარი) კარლ ლანგმანის მოგზაურობა უდაბნოში, ნავთობის საბადოს დასაპატრონებლად კიდევ უფრო გამდიდრებისათვის, ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრაზე, ადამიანის სწრაფვაზე გამდიდრებასა და ძალაუფლების მოპოვებისათვის, სიკეთის დაუფასებლობაზე, ადამიანის მორალურ და ფიზიკურ განადგურებაზე, იმაზე რომ - „კეთილ კაცს სიკეთე ღუპავს“ - რეჟისორებმა იუმორით, ირონიით, გროტესკით, სიმსუბუქით გადმოსცეს. შეიძლება ითქვას, ეს სპექტაკლი, ბრეხტის თეატრის მთავარი პრინციპის - გაართე და ისე ასწავლე - ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია. რობერტ სტურუამ და ნიკოლოზ ჰაინე-შველიძემ, ბრეხტისა და ქართული სათეატრო ტრადიციების, სტურუასეული სათეატრო ენის შერწყმით, ფერვერკული სანახაობა შექმნეს.

მაკა ვასაძე, თეატრმცოდნე

